A BRIEF OVERVIEW OF THE CHARMAULI FAMILY AND THE VILLAGE OF LAUSHA, GRANTED TO GRIGOL CHARMAULI BY DAVID VIII (1293-1311)

ჭარმაულთა გვარის მოკლე მიმოხილვა და დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) მიერ გრიგოლ ჭარმაულისთვის ნაწყალობევი სოფელი ლაუშა[1]

OTAR ZHIZHIASHVILI

PHD student of the University of the Patriarchate of
Georgia named after Saint Andrew the First
Chavchavadze Avenue #53a; Tbilisi Georgia
Science-collaborator of the National Center of Manuscripts of Georgia

Georgia, +995598728692, otari_zhizhiashvili@mail.ru
https://orcid.org/0000-0003-1590-2851

Abstract. The issue, which is presented in the form of an article, is basically one of the most important research topics (Feudal House of Charmaulis in XIII-XVIII centuries). We would also like to point out that in 2021, the feudal house of the Charmaulis of the XIII-XVIII centuries was identified as one of the winning topics in the grant competition for doctoral students announced by the Shota Rustaveli Scientific Foundation, which is a very important support for the promotion of scientific research.

The article briefly discusses the appearing and promotion of Charmaulis family in the political arena of feudal Georgia. The Charmaulis became stronger when the Eristavas of Aragvi were The Shaburidzes and in the future they even became the rulers of the above-mentioned Saeristavo, who are then replaced by the Sidamonidzes. After the loss of nobility, the representatives of this family appear again and own estates in the Aragvi valley (as well as in Shida Kartli) according to the deeds of mercy of the kings.

According to historical documents, the first representative of the Charmauli feudal family is Grigol Charmauli, to whom David VIII gave a deed of mercy in 1298. According to the document, the king gave him the first village "Laushai" located in the Shuani Gorge (now Khorkhi Gorge) with its forests, meadows, hunting grounds, fields, vineyards, water, mills and swamp. In addition to the king, the document is approved by the Catholicos of Kartli Abraham (Abraam) and there are also witnesses; For example, such as Eristavi Amada Surameli of Kartli, the Meabjretukhutses (armor elder) Chilai Abazasdze and the Amirakhori (Head of the stable) Navroz Abazasdze.

The document was issued at the time when David VIII rebelled against the Mongols and fortified himself in the Aragvi valley. It was at this time that he needed support and favor from the local feudal lords. It is clear from the deed that Grigoli is loyal to the king and that's why he inherits the village of Lausha.

[1] კვლევა განხორციელდა პროექტის - „ჭარმაულთა ფეოდალური სახლი XIII-XVIII საუკუნეები“ ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი PHDF-21-327).

Keywords: Charmauli, David VIII, Grigol Charmauli, Shuani Gorge, Lausha village.

ოთარ ჟიჟიაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტის დოქტორანტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი #53ა; თბილისი, საქართველო,
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
+995598728692, otari_zhizhiashvili@mail.ru
https://orcid.org/0000-0003-1590-2851

აბსტრაქტი. საკითხი, რომელიც სტატიის სახითაა წარმოდგენილი, ძირითადად არის სადოქტორო (ჭარმაულთა ფეოდალური სახლი XIII-XVIII საუკუნეები) საკვლევი თემიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი. აქვე ავღნიშნავთ იმასაც, რომ 2021 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის, მიერ გამოცხადებულ დოქტორანტთა საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ ერთ-ერთ თემად გამოვლენილ იქნა ჭარმაულთა ფეოდალური სახლი XIII-XVIII საუკუნეები, რაც სამეცნიერო კვლევის წარმართვის ხელშეწყობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.

სტატიაში მოკლედაა განხილული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ არენაზე ჭარმაულთა გამოჩენა და დაწინაურება. არაგვის ერისთავები შაბურიძეები, როცა არიან სწორედ მაშინ ძლიერდებიან ჭარმაულები და მომავალში აღნიშნული საერისთავოს მმართველებიც კი ხდებიან, რომელთაც შემდეგ სიდამონიძეები ცვლიან. ერისთავობის დაკარგვის შემდეგ ამ გვარის წარმომადგელები ისევ ჩანან და არაგვის ხეობაში (ასევე შიდა ქართლში) ფლობენ მეფეთა ნაწყალობევი სიგელების მიხედვით მამულებს.

ისტორიული დოკუმენტებიდან გამომდინარე, ჭარმაულთა ფეოდალური გვარის პირველი წარმომადგენელი გრიგოლ ჭარმაულია, რომელსაც დავით VIII 1298 წელს წყალობის სიგელს აძლევს. საბუთის მიხედვით მეფემ მას მისცა შუანის ხევს (ახლანდელ ხორხის ხეობაში ო. ჟიჟიაშვილი) არსებული პირველი სოფელი ,,ლაუშაი"; თავისი ტყით, სათიბით, სანადირო ადგილით, ველით, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა და ჭალითა. მეფის გარდა დოკუმენტს ამტკიცებს ქართლის კათალიკოსი აბრაჰამი (აბრაამი) და მოწმეებიც არიან; მაგალითად, როგორიცაა ქართლის ერისთავი ამადა სურამელი, მეაბჯრეთუხუცესი ჭილაი აბაზასძე და ამირახორი ნავროზ აბაზასძე.

საბუთი გაცემულია, სწორედ იმ დროს, როცა დავით VIII მონღოლებს აუჯანყდა და არაგვის ხეობაში გამაგრდა. მას ზუსტად ამ დროს სჭირდებოდა ადგილობრივი ფეოდალებისგან მხარდაჭერა, მიმხრობა. სიგელიდან კარგად ირკვევა, რომ გრიგოლი მეფის ერთგულია და ამიტომაც სამემკვიდრეოდ სოფელ ლაუშას ღებულობს.

საძიებო სიტყვები. ჭარმაული, დავით VIII, გრიგოლ ჭარმაული, შუანის ხევი, სოფელი ლაუშა.

შესავალი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესაწავლილი ისეთი გვარის მნიშვნელობა და ისტორია, როგორიცაა ჭარმაულთა ფეოდალური სახლი. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ გვარის წარმომადგელების მოღვაწეობა XIII საუკუნიდან იწყება და XVIII საუკუნეში სრულდება. მთელი ამ დროის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად

ჩართულნი იყვნენ, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე საეკლესიო საქმეებშიც. მათ, მეფეები და საეკლესიო მოღვაწეები საკმაოდ სწყალობდნენ და აძლევდნენ სიგელ-წიგნებს დაწინაურების, თუ ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. ჭარმაულთა გვარის წარმომადგენლებს სამფლობელოები ძირითადად ჰქონდათ არაგვის ხეობაში, მცირედ კახეთის და შიდა ქართლის ტერიტორაზე. სარგებლობდნენ საეკლესიო პირებთან დაახლოებით და მათგანვე მიღებული თანამდებობების, თუ ქონების დამტკიცებით. ამ გვარს ჰქონდა საეკლესიო აზნაურობის წოდებაც, რაც ფეოდალურ საქართველოში ერთ-ერთი საპატიო და გავლენიანი ინსტიტუტს წარმოადგენდა. ისინი ეკუთვნოდნენ ისეთ მსხვილ ინსტიტუტს, როგორიც იყო ,,მცხეთიშვილობა“.

ჭარმაულთა ფეოდალური საგვარეულო დოკუმენტებით ძირითადად XIII საუკუნიდან იხსენიება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადრე არ არსებობდა, პირიქით მანამდეც უნდა ყოფილიყო ერთიან ძლიერ საქართველოში, ცენტრალიზებული ხელისუფლების დროს, მაგრამ იმ დროს იგი ალბათ შედარებით წვრილი ფეოდალური აზნაურობის ტიპის საგვარეულო იყო და ამიტომ მათი მოხსენიება დოკუმენტებში ვერ მოხვდა, ან კიდევ უბრალოდ ჩვენამდე საბუთებმა რიგი ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოაღწია. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გვარი უფრო რეგიონალური ტიპისაა და ამიტომაც მათი არსებობა უფრო არაგვის საერისათავოს ტერიტორიაზე გვხვდება და სამეფო ხელისუფლებას, როცა დასჭირდებოდა ამ რეგიონში ძლიერი დასაყრდენი - სხვა სამტროდ განწყობილი ძალის წინააღმდეგ, მაშინ ადვილად გამონახავდა საერთო ენას და იმ დროის ფეოდალური აზროვნებიდან გამომდინარე არც ეს უკანასკნელნი იტყოდნენ მეფის მხარდაჭერაზე უარს.

არაგვის ხეობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, შემადგენელი ხეობებით და კუთხეებით ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. სწორედ აქ გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში დამაკავშირებელი სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზა. დიდი მნიშველობა ჰქოდა დარიალის კარს და ის ყოველთვის იქცევდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღებას. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ხალხები საქართველოსთან ურთიერთობას ამ გზით ახერხებდნენ და მათი შემოსვლა დიდ კონტროლთან იყო დაკავშირებული. ასეთი მიზეზთა გამო, მეფეთათვის მნიშვნელოვანი იყო, თუ ვინ ამაგრებდა არაგვის ხეობას და რამდენად სანდო ძალას წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლებისათვის. შუა საუკუნეებში არაგვის ერისთავები, კერძოდ კი შაბურიშვილები მეფეების დიდი ნდობით სარგებლობდნენ და ზოგჯერ რთულ ვითრებაში მყოფ მეფეებსაც ეხმარებოდნენ. სწორედ ამ შაბურისძეების ერისთავად ყოფნისას, პოლიტიკურ არენაზე ჭარმაულები ჩნდებიან, რომლებიც დიდ ყურადრებას იქცევენ ადგილობრივი, სამეფო და საეკლესიო ხელისუფალთაგან. მათი როლი, როგორც ჩანს დიდი იყო ყველა არსებული ძალისათვის და ისინიც ამ ყოველივედან გამომდინარე თავს კომფორტულად გრძნობდნენ. გარკვეული მიზეთა გამო, როცა შაბურიძეთა გვარი დაემცრო და გაქრა, მაშინ მათი ადგილი ჭარმაულთა გვარმა დაიკავა და ისინი ფლობდნენ საკმაოდ მაღალ თანამდებობას, როგორიცაა არაგვის ერისთავობა, რომელთა დამხობა თექთურმანიძეებთან (ხევს განაგებდნენ) ერთად მოახერხა ვანათელმა სიდამონმა, რაზეც ვახუშტი წერს; ,,ხოლო ესე ნუგზარ იყო ერისთავი არაგჳსა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სჳიმონისასა უკუდგა ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბძანებითა მეფისათა და შეტყუვებითა აღიღო ციხე იგი, და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შეიპყრეს ყიზილბაშთა მეფე სჳმონ, ამანვე მოიმწო კსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყჳდნა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრა ბაზალეთი. მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრანა ძმანი თჳსნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა. შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მოჰკლეს იგი. და დაიპყრა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი. ხოლო

მოვიდა სჯმონ, მისცა პაპასავე ნუგზარისასა მსახურებისათჯის მისისა და იყვნენ ჟამამდე ერისთავად“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 424; ბახტაძე, 2005: 8-10). როგორც ირკვევა XV საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს ვამიყ შაბურისძე, რომელიც 1466 წელს იხსენიება და ამის შემდეგ ეს გვარი კარგავს არაგვის ერითავობას (ბახტაძე, 2005: 6) და მათ ადგილს, არაგვის ტერიტორიაზე ერისთავებად ჯდებიან ჭარმაულები, რომლებიც ამ დროს ამ რეგიონში უკვე ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ და ამიტომ მათ ადვილად დაიჭირეს ეს თანამდებობა, რაც XVI საუნისის შუა ხანებამდე უნდა ჰქონოდათ მანამ, სანამ ერისთავობას ვანათიდან მოსული ნუგზარ სიდამონისძის წინაპრები წაართმევდნენ.

XVI საუნეში დაქვეითებული ჭარმაულები არაგვის ხეობაში აგრძელებენ ცხოვრებას და ინარჩუნებენ მამულებს, რომლებიც მათ, მანამდე შეიძინეს და ამის მერეც ემატებათ საქართველოს სხვადასხვა ადგილას მიწები, სოფლები და თანამდებობები. ამრიგად უნდა ითქვას, რომ ეს გვარი ამ რეგიონში ერთ-ერთი გავლენიან ძალას წარმოადგენდა.

მეთოდი. წარმოდგენილი სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: შედარებით ისტორიულ მეთოდი, მიზეზობრ-შედარებითი, ემპირიული და სისტემური ანალიზი.

შედეგები. ქართულ ისტორიოგრაფიაში ჭარმაულთა გვარიის ისტორია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არის ერთ-ერთი შეუსწავლელი და ჩვენი მიზანია ამ საკითხის კვლევა და გაცნობა სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ამ ეტაპზე სტატიის სახით წარმოვადგენთ ჭარმაულთა გვარის გაძლიერება-განვითარების მოკლე მიმოხილვას და დავით VIII-ისგან გრიგოლ ჭარმაულისთვის სოფელ ლაუშის წყალობის საკითხს. მეფისგან სამეფო დომენიდან ფეოდალისთვის მამულის მიცემა სამემკვიდრეოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რაზეც ყურადღებაა გამახვილებული.

დისკუსია. ჭარმაულთა ფეოდალური გვარის წარმომადგენელთა მოხსენიება XIII საუკუნეში ჩნდება და გვარის წარმომადგენლებს პირდაპირ კავშირი აქვთ სამეფოსთან და დიდ მეფეებთან, რაც განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ მათი გავლენა და ავტორიტეტი ქვეყანაში გარკეულ ძალას წარმოადგენდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გრიგოლ ჭარმაული, რომელიც ჯერ-ჯერობით პირველ წარმომადგენლად ითვლება და ამ გვარიდან ის სარგებლობს დავით მეფის მხარდაჭერით, რაც ძალზედ საინტერესოა. დავით მეფეს მისთვის სიგელი მიუცია და ამით უბოძებია სოფელი ,,ლაუშაი“. ეს დოკუმენტი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და 1984 წელს გამოცემულია ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის პირველ ტომში. ტექსტი შესრულებულია ტყავზე, არის გრაგნილ მდგომარეობაში და წარმოადგენს ოთხ კეფს. საკითხის უფრო საინტეროსოდ წარმოჩენის მიზნით მოგვყავს ეს საბუთი თავისი სრული ტექსტით, სადაც შემდეგი წერია: ,,ქ. სახელითა ღ(მრ)თისაითა, დავითისგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღ(მრ)თისაითა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვაშე და შაჰ|ანშა და ყ(ოვ)ლისა საქართველოისა ჴელმწიფედ მპყრობელისა. მოვიდა ჩუენ წინაშე ჭარმაული ჭაჭნიასშვილი გ(რი)გ(ო)ლ და გუეჰაჯა და მოგუაჴსენა, რაითამცა შევიწყალეთ და ჟინოვნისა შესავალი შუანისჴევს, სოფელი ლაუშაი, სიგლითა ამით სამამულოდ მიუბოძეთ.

დაგუაჯერა ღ(მერთმა)ნ და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებაი ჭაჭნიასშვილისა გრიგ(ო)ლ ჭარმაულისაი და მიუბოძეთ ჟინოვნის პირს სოფელი ლაუშაი და გამოვიღეთ ჟინოვნისაგან და მისა შესავლ(ო)ბისაგან და ჟინოვნისა პ(ა)ტრ(ო)ნთა და ამირათაგან. ჰქონდეს ჭარმაულსა ჭ(ა)ჭნიასშვილსა გ(რი)გ(ო)ლს, შვილთა და ყ(ოვე)ლთა მომავალთა მისთა შუანის ჴევს სოფელი ლაუშაი, მისითა მიმდგომითა მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, ვენაიჴითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სანადიროითა და ყ(ოვ)ლითა სამრათლიანითა ზღვრითა და

მიმდგომითა მისითა, საჴმარითა და უჴმარითა, ერთგულად მსახურებასა შინა მეფობისა ჩუენისასა.

და თუ რაი ვის ლაუშისა სიგელი და ანუ ნიშანი რაი აქუს, სიგლითა ამით გაგუიტეხია და მტკიცე ესეოდენ. და გამოგუიღია ჟინოვნისა შესავლობისაგან, პატრონთა და ამირათაგან. და არავინ გუიბ(რძანე)ბია მშლელი და მაქცეველი ბ(რძანე)ბულისა ამის ჩუენისაი, არ მეუნებლე, მავნებელი, დამაკლებელი მათი.

აწ, ვინცა ჴნახოთ ბ(რძანე)ბაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენ[სა] მომავალთა მეფეთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა და მოურავთა, ე(რისთავთ)-ე(რისთავ)თა, ქ(ართლისა) ე(რისთავ)თა, ჟინოვნისა პატრონთა და მოურავთა და ამირათა, მპარავთმძებნელთა, ხუარბლისმკრებელთა, მესაბანჯრეთა, მეღუინეთა, ბაზიერთა, მონადირეთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, მესაყივჩაყოეთა და ყ(ოვე)ლთა საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბ(რძანე)ბასა და სიგელსა ამას ჩუენსა. და ნუცა რას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუ{ი}ნიერ შეწევნისა და თანადგომისა! და თქუენ, წმიდაო მეუფეო ქ(რისტე)ს მიერ ქ(ართლისა) ქ(ათალი)კ(ო)ზო და ყოვე)ლნო მღვდელთ-მოძუღუარნო, უჯ(უ)არობითა დაუმტკიცეთ! დაიწერა ბ(რძანე)ბაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკ<ი>ტიონსა მეფ(ო)ბისა ჩუენისასა მეხუთესა, ჴელითა მწიგნ(ო)ბრისა ჩუენისა იაკობ უგანოისძისაითა. საბუთს ახლავს დამტკიცებებიც, რომლებიც უკლებრივ მოგვყავს:

1.დავით მეფისა:

ქ. მტკიცეთა ნებითა ღ(მრ)თისაითა.~

2.ქ. მტკიცე ნებითა ღ(მრ)თის{აი}თა.

3.ჩუენ მელქისედეკ მეფისაგანცა, მტკიცე ნებითა ღ(მრ)თისა(ი)თა.

4.ქ. პატრონთა მამისა და ძმისა ბ(რძანე)ბისა მეცა, ანდრონიკე, დამამტკიცებელი ვარ.

5. ქ. კ(ირილეი)ს(ო)ნ! ესე ვითა ღ(მრ)თივგუირგუინოსანსა, ძლიერსა და უძლეველსა მეფეთ-მეფესა დავითს შეუწყალებია ჭარმაული გ(რი)გ(ო)ლ და ყ(ოვე)ლნი მომავ{ა}ლნი მისნი ჟინოვნისა პირს სოფელ ლაუშაი სიგლითა ამით სამამულოდ უბოძებია, ჩ(უე)ნც, გლახაკი ქ(რისტე)ს მიერ ქ(ართლისა) კა(ათალიკო)ზი აბრაჰამ დავამტკიცებთ. შემცვალებელნი ამისნი იყვნენ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ და დამამტკიცებელნი ღ(მერ)თმან აკურთხენ და წმიდამან დედაქალაქმან.

ახლავს მოწმეებიც:

1.ღ(მრ)თისა სწორთა ბ(რძანე)ბისა მოწამე ვარ მიწაი მსახურთუხუცესი და ქ(ართლისა) ე(რისთა)ვი ამადა სურამელი.
2.ქ. ღ(მრთ)ის სწორთა ბრძანების მოწ{ა}მე ვარ მიწაი მეაბჯრეთუხუცესი ჭილაი აბაზასძე
3.ქ. ღ(მრ)თის სწორთა ბრძანების მოწ(ა)მე ვარ მიწაი ამირე[ჯი]ბი და ამირახორი ნავროზ აბაზასძე (დოკუმენტი 1. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984: 183-185).

ეს სიგელი, საძიებო კატალოგში თარიღდება 1297/1298 წლით, რაც ძალზედ საინტერესო ფაქტია. დოკუმენტში პირდაპირ აღნიშნულია, რომ დავით მეფის მეფობის მეხუთე ინდიქტიონსაა გაცემული, რაც 1298 წელია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ 1293 წელს გამეფდა და შესაბამისად ეს საბუთიც 1298 წელს აქვს გაცემული (ო. ჟიჟიაშვილა).

სიგელის გაცემის დრო ემთხვევა დავით VIII-ის მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებას, რამაც არაგვის საერისთავო მთლიანად მოიცვა. ვფიქრობთ, რომ ამ საბუთის უკეთ წარმოჩენისათვის

მოკლედ განვიხილოთ მეფის აჯანყება ილხანთა წინაარმდეგ თავისი მიზეზებით; კარგად ცნობილია, რომ 1295 წელს ქეღათუ ყაენი თუკალ ნოინის მეთაურობით აჯანყებულებმა ტახტიდან ჩამოაგდეს, მოკლეს და მის ადგილზე დასვეს ნესტორიანული ქრისტიანობის მიმდევარი ბაიდუ, რომელიც დიდი ჰულაგუს შვილიშვილი იყო. საქართველოს მეფეს ახალ მმართველთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელდა, რადგან 7 თვის თავზე ბაიდუ ჩამოაგდეს და ტახტზე დასვეს ხორასნის მმართველი ყაზანი. მან გაყაენებისთანავე წინა მმართველის მომხრეების დასჯა მაშინვე დაიწყო. სწორედ თავის გადარჩენის მიზნით თუკალ ნოინმა სამცხეს თავი შეაფარა, ხოლო შვილი კი დავით მეფესთან გადამალა. ახალმა ყაენმა მეფეს ნოინის შვილის გადმოცემა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო და მეფემ ყაენს მათი უვნებლობის ფიცი ჩამოართვა. ამ ამბავმა ფაქტია ყაენი გაანაწყენა და მდგომარეობას კიდევ ისიც ართულებდა, რომ ის მაჰმადიანი იყო და ქრისტიანებს დიდად არ სწყალობდა, პირიქით მათ ყველგან ავიწროებდა.

ჟამთააღმწერელის გადმოცემით ცნობილია, რომ დიდმა ვაზირმა ნავროზმა საქართველოში თავისი ნათესავი ამირა გამოგზავნა ეკლესია-მონასტრების ასაოხრებლად და გასაძარცვად. მას სურდა ვარძიის მონასტრის საეკლესიო ქონების ხელში ჩაგდება, მაგრამ მოხდა სასწაული და ეს ამირა ,,მეხდატეხილ იქმნა და განიგალა სრულიად და დაიწვა ძვალითურთ“ (საქართველოს ისტორია, 2008: 75).

1297 წელს ყაზან ყაენმა დავითი ურდოში დაიბარა, რაზეც მეფემ იუარა. ის ფიქრობდა, რომ ყაენი არ აპატიებდა მის მოწინაარმდეგე ნოინებთან და ბაიდუ ყაენთან ურთიერთობას, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზის წევრებმა მას ურჩიეს ყაენის ბრძანება შეესრულებინა და მასთან გამოცხადებულიყო, მეფემ ირანში წასვლას თავი აარიდა და მთიულეთში გამაგრდა, რაც მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების ტოლფასი იყო.

დავით მეფემ ჟინვალთან სიბა შეკრა და დახმარების მისაღებად ოქროს ურდოში თავისი ძმის ვახტანგის მეთაურობით ელჩობა გაგზავნა, რაც ჟამთააღმწერლის გადმოცემით წარმატებით დასრულებულა და ურდოს მბრძანებელს დახმარება აღუთქვამს (საქართველოს ისტორია, 2008: იქვე). ამ ყოველივეზე ვახუშტი ბატონიშვილი წერდა; ,,მოუწოდა ყაზან-ყაენმან დავით მეფესა ურდოსა შინა და მსმენელი დავით მსწრაფლ განემზადა წარსვლად და მივიდა ჰერეთს. შემოკრბენ ნუნ ჰერ-კახნი და სხუანი წარჩინებულნი ყოველნი. მაშინ დავით განზრახვიდა, რათა წარვიდეს ურდოსა ანუ უკუ-დგეს. არამედ განზრახთა ყოველთა განუზრახეს წარსვლა ურდოსა. გარნა მეფემან არა ინება და არცა უსმინა და უკუნ-იქცა, რამეთუ შიში რაიმე აქუნდა თათართაგან დიდი და შეკრა ჟინვანს სიბა და თჳთ მეფე გარდავიდა მთიულეთს და წარავლინა ძმა თჳსი ვახტანგ ბათო-ყეენის შვილის-შვილისა თანა და უქადა გზა ყაზან-ყეენისა ზედა“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 243).

დავით მეფის დიდი მოძრაობის შესახებ ყველაფერი ყაზანმა ბაქოს საზამთრო რეზიდენციისაკენ მიმავალმა შეიტყო 1297 წლის 7 ნეომბერს და სასწრაფოდ თავისი სარდალი ხუტლუშაჰ ნოინი გამოგზავნა. მან თბილისი დაიკავა და მოლაპარაკება დაიწყო მეფესთან. ის მეფისგან მოითხოვდა ყაზან ყაენისადმი ერთგულებას და ოქროს ურდოს მიუმხრობლობას. დავითმა მოსალაპარაკებლად თავის ნდობით აღჭურვილი კაცები - აბრაამ კათალიკოსი, ივანე ბურსელი და ტფილელი ყადი გაუგზავნა. მეფემ უშიშროების და უვნებლობის სანაცვლოდ სარდლისგან მძევლებიც მოითხოვა და მიიღო კიდეც (სარდლის შვილიც კი იყო მძევლებს შორის). დავითმა ამის შემდეგ ხუტლუშაჰთან გამოცხადებისას პირობა დადო, რომ ყაზან ყაენთან მივიდოდა. უკან წასულმა სარდალმა გზად ოქროს ურდოდან მომავალ ვახტანგის ელჩობა დააპატიმრა და თან წაიყვანა. ყაენმა ვახტანგი დაითანხმა საქართველოს მეფობაზე და სამშობლოში გამოუშვა. ამ დროს, მოქმედ დავით მეფის მხარეს იყო ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რამდენიმე ფეოდალის გარდა. მეფის მხარეს იყო არაგვის ერისთავიც

განსხვავებით ქსნის ერისთავისგან. დავითმა თავისი ძმა ვახტანგი მალევე შეიპყრო და ჟინვალის ციხეში ჩაკეტა, ხოლო მეორე ძმა ბაიდუ ელჩობით ოქროს ურდოში გაგზავნა.

შეთანხმების დარღვევის და პირობების არ შესრულების გამო, რაც ორივე მხრიდან იყო, სწორედ ამიტომ 1298 წელს მონღოლების ჯარი საქართველოში შემოიჭრა და მოაოხრეს სომხითი, ქვემო ქართლი, თრიალეთი, ერწო და ბანაკად დადგნენ; მუხრანს, ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თიანეთს. მონღოლთა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ დაუნდობელი იყო და ისიც უნდა ითქვას, რომ არც ისინი წასულან გამარჯვებულნი, რადგან დავითთან და მის მომხრეებთან ბრძოლისას ბევრი მეომარი დაკარგეს, ქვეყანა კი მოაოხრეს.

ფეოდალური სახელმწიფოებრივი სისტემიდან გამომდინარე ასეთ რთულ დროს მეფეს ყველა დონის ფეოდალისგან, აზნაურის, თუ გლეხისგან სჭირდებოდა დიდი მხარდაჭერა და სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული 1298 წელს (ო. ჟიჟიაშვილი) გრიგოლ ჭარმაულისადმი ამ მეტად მნიშვნელოვანი სიგელის ბოძება. როგორც ჩანს გრიგოლი იმ დროს არაგვის ხეობაში შაბურიშვილების ერისთავობის დროს წარმოადგენდა მეფისთვის ერთ-ერთ ერთგულ ადამიანს, რასაც მეფე ერთი მშვენიერი სოფლის წყალობით უფასებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელი ,,ლაუშაი“ შედის ,,ჟინოვნისა შესავალი შუანისჴევს (დოკუმენტი 1.), რომელიც მეფეთა მეფობის დროს წარმოადგენდა მთელი ჟინვალიანად სამეფო დომენს და ეს ადგილი იყო არაგვის ხეობაში და ქართლის ზემოთ ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. ჟინვალის მიმართ ჯერ კიდევ თამარ მეფე იჩენდა ინტერეს, რაც მისი ჭიაბერ მანდატურხუცესისადმი წყალობის სიგელით დასტურდება და ადვილად გასაგებია, რომ ეს ადგილი მეფეთა დომენს ეკუთნოდა. აქვე იყო ციხე და საზაფხულო სამეფო რეზიდენციაც. ჟინვალი მეფეთათვის ციხე-ქალაქს წარმოადგენდა.

დავით VIII სიგელში აღნიშნავს, რომ გრიგოლს სოფელ ,,ლაუშაის“ გარდა მისცა ყოველი მნიშვნელოვანი ადგილი, როგორიცაა; ,,მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, ვენაჴითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სანადიროითა და ყ(ოვ)ლითა სამრათლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა“ (დოკუმენტი 1.). ეს არის დაკონკრეტება, თუ მეფე კიდევ რას უბოძებდა ერთგულ ყმას. სიგელის ბოლოსკენ მეფე აფრთხილებს ყველა იმ პირს ვისაც კი შეიძლება უკმაყოფილება გამოემჟაღავნებინოს და მათ არ ექნებათ არანაირი უფლება მეფის გადაწყვეტილება მომავალში შეცვალონ. მეფის გარდა, საბუთის დამამტკიცებელნი და მოწმეები არიან მაღალი რანგის პირები და დოკუმენტი ამითაც საინტერესოა. ამრიგად საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ მძიმე ჟამს, როცა იყო მონღოლთა შემოსევა მეტად დასაფასებელი იყო გრიგოლ ჭარმაულის მოღვაწეობა, ერთგულება და ამიტომ, მას მეფემ სამეფო დომენიდან მნიშვნელოვანი ადგილი უწყალობა.

ბოლოსთვის კი უნდა ითქვას, რომ ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ნარატიული თხზულებები (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი), დოკუმენტები, ანუ ისტორიული საბუთები, რომლებიც გაცემულია ჭარმაულთა გვარის წარმომადგენლებზე სხვადასხვა პირთა მიერ. ეს დოკუმენტები წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს გვარის ისტორიის დადგენაში და მათ ერთობ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ აღნიშნული საკითხის სწორედ შესწავლაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტები ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომელთაგან გარკვეული ნაწილი გამოცემული არ არის. ამას გარდა, გამოვიყენეთ სამეცნიერო ლიტერატურა (თ. ჟორდანია, ივ. ჯავახიშვილი, რ, თოფჩიშვილი და სხვ.), სადაც მეტ-ნაკლები მნიშვნელობით წარმოდგენილია ჭარმაულთა საფეოდალო გვარის შესახებ მნიშვნელოვანი საკითხები.

დამოწმებული დოკუმენტები, წყაროები და ლიტერატურა

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, Hd-13301297/1298 წ. სიგელი დავით მეფისა ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილისადმი.

ბატონიშვილი ვახუშტი, (1973). აღწერა სამეფოისა საქართველოისა, *,,ქართლის ცხოვრება“,* ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“.

ბახტაძე, მ. (2005). *არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია (XVI-XVIII სს.).* თბილისი: გამომცემლობა ,,არტანუჯი“.

საქართველოს ისტორია, (2008). წიგნი. II (XIII-XVIII საუკუნეები), ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, თბილისი: ,,თბლისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX-XIII სს, 1984. ტ. I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზედეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება“.

REFERENCES

k'. k'ek'elidzis sakhelobis khelnats'erta erovnuli tsent'ri, pondi, Hd-1330, 1297/1298 ts'eli. Sigeli davit mefisa warmaul grigol wawniashvilisadmi. *[National Centre of Handwritings by the name of K. Kekelidze, fund, Hd-1330, 1297/1298 years. Deed of the king of David given to Grigol Charmaurli.*

bat'onishvili vakhusht'i, (1973). aghts'era samepoisa sakartveloisa, ,,*kartlis tskhovreba“,* t'ekst'i dadgenilia qvela khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier, tbilisi: gamomtsemloba ,,sabch'ota sakartvelo“. [Description of the Kingdom of Georgia, ,,*The Life of Kartli“,* the text is established according to all manuscripts by S. Kaukhchishvili] Tbilisi: ,,Soviet Georgia" publishing house.

bakht'adze, m. (2005). *aragvis eristavta kronologia (XVI-XVIII ss.).* tbilisi: gamomtsemloba ,,art'anuji“. *[Chronology of the nobles of Aragvi (XVI-XVIII centuries).]* Tbilisi: ,,Artanuji" publishing house.

saqartvelos istoria, (2008) wigni II (XIII-XVIII saukuneebi), n. asatianis da g. Jamburias redaqciit, Tbilisi: ,,Tbilisis universitetis gamomcemloba". *[History of Georgia, book II (XIII-XVIII centuries), edited by N. Asatiani and G. Jamburia], Tbilisi: ,,Publishing House of Tbilisi University*".

qartuli istoriuli sabutebis korpusi IX-XIII ss, 1984. T. I, Seadgines da gamosacemad momzades t. Enuqizdem, v. silogavam, n. shoshiashvilma, Tbilisi: gamomcemloba ,,mecniereba. *[Corpus of Georgian Historical Documents of IX-XIII centuries, T. I, it was compiled and got ready to publish by: T. Enukidze, V. Silogava, N. Shoshiashvili], Tbilisi, Publish House ,,Science".*